ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

**შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 20.10.2017
**შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი:** 019/17

**შეკითხვა**:

ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის საკითხებზე ეთიკის კომისიის „ცხელი ხაზის“ მეშვეობით დასმულ შეკითხვაზე შეუძლია თუ არა კომისიამ გასცეს წერილობითი რეკომენდაცია?

**ანალიზი:**

ადვოკატმა ეთიკის კომისიას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვით შესაძლებელია მიმართოს როგორც ზეპირი, აგრეთვე წერილობითი ფორმით. წერილობითი რეკომენდაციის გაცემა შესაძლებელია წერილობითი ფორმით დასმულ შეკითხვაზე. ზეპირი ფორმით („ცხელი ხაზის“) მეშვეობით დასმულ შეკითხვაზე გაიცემა მხოლოდ ზეპირი რეკომენდაცია. რეკომენდაციის გაცემის წესს არეგულირებს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-8 თავი.